მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ტერიტორია მდებარეობს ქ. თბილისში, ქეთევან წამებულის გმზირზე #68-ში. ტერიტორიის ფართია 2333.0 კვ.მ. ზონირებით საპროექტო ტერიტორიისთვის განკუთვნილი იყო სსზ კ1-0.7, კ2-4.0

2006 წლის 31 მაის ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა დაგანაშენიანების რეგულირების საკითხითა კომისიამ (#89) განიხილა დასაბუთების პროექტი, რომლის დასკვნის საფუძველზეც საკითხმა მიიღო დადებითი შეფასება და კოეფიციენტი განისაზღვრა კ2=5.2-ით.

2010 წლის 12 აპრილს ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა დაგანაშენიანების რეგულირების საკითხითა კომისიამ (#1239) განიხილა დასაბუთების პროექტი, რომლის დასკვნის საფუძველზეც საკითხმა მიიღო დადებითი შეფასება და კოეფიციენტი განისაზღვრა კ1=0.8 და კ2=6.2-ით.

საპროექტო ტერიტორია არის დაყოფილი ორ ზონად, რომლის მიწის ნორმატიული ფასი არის 145 ლარი (1218.60კვ.მ.) ,მიწის ნორმატიული ფასი არის 298 ლარი (1114.40კვ.მ.) .

კოექფიციენტის ყიდვის ფორმულა


L/k2(k2^1-(k2^2+k2 -ის20%)S

298/4.0(6.2-(5.2+0.8)1114.40=74.5 x 0.2 x 1114.40= 16604.56 GEL

145/4.0(6.2-(5.2+0.8)1218.60=36.25 x 0.2 x 1218.50= 8834.125 GEL

გადასახდელი თანხა — 25 438.70 ლ.

თანხის გადახდა მოხდება 2013 წლის 30 ნოემბერს.


485800
485850
485900
4615150
4615100
N
W
E
S
1:500
145 ლარი
1218.6
კვმ
1114.4
კვმ
298 ლარი

ქალაქ თბილისის მთავრობა

დადგენილება № 10.66.481

"10" აპრილი 2014 წ.

ამხანაგობა „ქეთევან წამებულის გამზ. 68"–ის სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისთვის განაშენიანების ინტენსივობის კ–2 კოეფიციენტის მოსაკრებლის გადახდის გადავადებისა და მასთან დაკავშირებით, შეთანხმების დადების შესახებ

ქ. თბილისის მერიას 2014 წლის 3 აპრილს #12/14079242–14 (არქიტექტურის სამსახურში რეგისტრაციის # 07/2776–13, 07.04.2014) განცხადებით მიმართა, ამხანაგობა „ქეთევან წამებულის გამზ. 68"–ის თავმჯდომარემ აბესალომ აბუაშვილმა და „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, მოითხოვა ქ. თბილისში, ქეთევან წამებულის გამზირი #68–ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისათვის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ2) გადამეტების მიზნით, სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისთვის გადასახდელი მოსაკრებლის გადახდის გადავადება შენობა–ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღებამდე და მასთან დაკავშირებით, შესაბამისი შეთანხმების დადება. თავის მხრივ, ამხანაგობა „ქეთევან წამებულის გამზ. 68"–ის იღებს ვალდებულებას, რომ შენობა–ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების თაობაზე, არაუგვიანეს 2015 წლის 1 იანვრამდე, განცხადებას წარუდგენს შესაბამის უფლებამოსილ ორგანოს და შენობა–ნაგებობა დააკმაყოფილებს ექსპლუატაციაში მიღებისთვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ქალაქ თბილისის მთავრობამ განიხილა ქალაქ თბილისის მერის 2006 წლის 31 მაისის #89 განკარგულებით გაცემული სპეციალური (ზონალური) შეთანხმებისთვის გადასახდელი განაშენიანების ინტენსივობის კ–2 კოეფიციენტის მოსაკრებლის გადახდის გადავადებისა და მასთან დაკავშირებით შეთანხმების დადების საკითხი და ქ. თბილისში, ქეთევან წამებულის გამზ. #68–ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის დროულად დასრულების, ქალაქის განვითარებისა და იერსახის გაუმჯობესების მიზნით, მიზანშეწონილად მიაჩნია შენობა–ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღებამდე ამხანაგობა „ქეთევან წამებულის გამზ. 68"–ს გადაუვადოს მოსაკრებლის გადახდა და დადოს შეთანხმება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ" საქართველოს კანონის მე–17² მუხლის "საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ" საქართველოს კანონის 23¹ მუხლის „ფ" პუნქტის, „ქ. თბილისის ტერიტორიაზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის გადახდასთან დაკავშირებით შეთანხმების გაფორმების წესის შესახებ" ქალაქ თბილისის მთავრობის 19.09.2013 წ. №24.02.1078 დადგენილების შესაბამისად,

ქ. თბილისის მთავრობა ადგენს:

1. დაკმაყოფილდეს ამხანაგობა „ქეთევან წამებულის გამზ. 68"–ის თავმჯდომარის აბესალომ აბუაშვილის განცხადება ქალაქ თბილისის მერის 2006 წლის 31 მაისი #89 განკარგულებით გაცემული სპეციალური (ზონალური) შეთანხმებისთვის გადასახდელი განაშენიანების ინტენსივობის კ–2 კოეფიციენტის მოსაკრებლის გადახდის გადავადების თაობაზე.

2. დადებულ იქნეს ამხანაგობა „ქეთევან წამებულის გამზ. 68"–სთან შეთანხმება შემდეგი პირობებით:

ა) ქალაქ თბილისის მთავრობა უზრუნველყოფს ამხანაგობა „ქეთევან წამებულის გამზ. 68"–ის ქალაქ თბილისის მერის 2006 წლის 31 მაისის #89 განკარგულებით გაცემული სპეციალური

(ზონალური) შეთანხმებისთვის გადასახდელი განაშენიანების ინტენსივობის კ–2 კოეფიციენტის მოსაკრებლის გადახდის გადავადებას შენობა–ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღებამდე, ხოლო შეთანხმების განხორციელების მიზნით, ამხანაგობა „ქეთევან წამებულის გამზ. 68“–მა უნდა უზრუნველყოს, არაუგვიანეს 2015 წლის 1 იანვრამდე, უფლებამოსილ ორგანოში განცხადების წარდგენა შენობა–ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღებაზე და ექსპლუატაციაში მიღებისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნების დაკმაყოფილება.

ბ) შეთანხმების პირობების დარღვევის შემთხვევაში, შეთანხმება გაუქმდება და ამხანაგობა „ქეთევან წამებულის გამზ. 68“–ს დაეკისრება ვალდებულება შეთანხმების გაუქმებიდან 1 თვის ვადაში გადაიხადოს ქალაქ თბილისის მერის 2006 წლის 31 მაისის #89 განკარგულებით გაცემული სპეციალური (ზონალური) შეთანხმების და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად გადასახდელი განაშენიანების ინტენსივობის კ–2 კოეფიციენტის მოსაკრებელი.

3. შეთანხმებაზე, ქალაქ თბილისის მთავრობის სახელით, ხელმოწერა დაევალოს ქ. თბილისის მერის მოადგილეს ირაკლი აბესაძეს.

4. კონტროლი დადგენილების შესრულებაზე დაევალოს ქ. თბილისის მერის მოადგილეს ირაკლი აბესაძეს.

5. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ. №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ქ. თბილისის მერის მოადგილე ირაკლი აბესაძე